მერკანტილისტები და ფიზიოკრატები-რომელი უკეთ გამოხატავდა XVIII საუკუნის საზოგადოების ინტერესების (მეორე თავზე დაფუძნებით)

საზოგადოების განვითარება ყოველთვის მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკურ ურთიერთობებთან, რადგან ეკონომიკა განსაზღვრავს არა მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობას, არამედ სოციალური ჯგუფების პოზიციებსა და ძალაუფლების განაწილებას. ეკონომიკური სისტემა თითოეულ ეპოქაში ასახავს იმ საზოგადოებრივი ფენების ინტერესებს, რომლებიც ფლობენ ძალაუფლების ბერკეტებს და ახდენენ ზეგავლენას ეკონომიკურ პროცესებზე. სწორედ ამიტომ ეკონომიკური აზრის ფორმირება უნდა განვიხილოთ როგორც კონკრეტული საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების შედეგი და არა მხოლოდ თეორიული დისკუსია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეთვრამეტე საუკუნე, რადგან ამ პერიოდში ევროპული საზოგადოება ღრმა გარდაქმნების წინაშე დადგა. ძველი ფეოდალური წესრიგი თანდათან კარგავდა სტაბილურობას, ძლიერდებოდა სავაჭრო ურთიერთობები, ვითარდებოდა ქალაქები და ყალიბდებოდა ახალი სოციალური ჯგუფები. ამ ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეკონომიკის განვითარებაზე და ეკონომიკური სისტემის გადაფასებაზე. მეთვრამეტე საუკუნეში ეკონომიკა სულ უფრო მეტად იქცა საზოგადოების ორგანიზების მთავარ საყრდენად, სადაც სოციალური და/კულტურული კაპიტალი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეკონომიკურ წარმატებასა და სოციალური სტატუსის განსაზღვრაში.

ამავე ეპოქაში იზრდებოდა ადამიანის როლი ეკონომიკურ პროცესებში როგორც აქტიური სუბიექტის. შრომა, მიწა და წარმოება განიხილებოდა არა მხოლოდ შემოსავლის წყაროდ, არამედ ინდივიდის თვითაქტუალიზაციის საშუალებადაც. სწორედ ამ ინტელექტუალურ და სოციალურ ფონზე ჩამოყალიბდა ორი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მიმდინარეობა — მერკანტილიზმი და ფიზიოკრატია. ორივე მათგანი განსხვავებულად პასუხობდა მეთვრამეტე საუკუნის საზოგადოების მოთხოვნებს და

სხვადასხვაგვარად წარმოაჩენდა, რომელი საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესებს უნდა მომსახურებოდა ეკონომიკური პოლიტიკა.